ხაშურის მოამბე

№26 (107) 3 ივლისი, ორშაბათი, 2017 წელი

გამოკითხვაში ხაშურის მუნიციპალიტეტი ლიდერობს

თქვენი აზრით, შიდა ქართლის რომელი მუნიციპალიტეტი მუშაობს ყველაზე ეფექტურად?-ამ კითხვას ტ/კ „დიას" ოფიციალურ ვებგვერდზე, ამ დროის მონაცემებით, 6716 ადამიანმა უასუხა. გამოკითხულთა 45.8 %თვლის, რომ ყველაზე ეფექტურად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა მუშობს. მეორე ადგილს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა იკავებს -34.%, მესამეს გორის მერია -6.6%-, ხოლო კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა მეოთხე პოზიციაზეა - 4.9%. გამოკითხვა მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტმა თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღი დაასახელა

საქართველოს პრეზიდენტმა თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღი დაასახელა. შესაბამის აქტს, არჩევნების დანიშვნის შესახებ, გიორგი მარგველაშვილი არჩევნებამდე 60 დღით ადრე, აგვისტოს ბოლოს გამოსცემს.

აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გააკეთა.

"მომავალი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს. ამის თაობაზე ჩვენ ვიმუშავეთ და მოვილაპარაკეთ მთავრობასთან, თუმცა აქტი ამ არჩევნების დანიშვნის თობაზე გამოიცემა 60 დღით ადრე, ანუ აგვისტოს ბოლოს.

ეს გადაწყვეტილება განპირობებულია თუნდაც შარშანდელი გაუგებრობებიდან გამომდინარე, რადგან არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული, გარკვეული საკანონმდებლო, საბიუჯეტო დეტალები.

მთავარია, რომ ეს არის პარტიებისთვის საარჩევნო გარემოს განჭვრეტადობა და დღეს, 4 თვით ადრე, მთავრობასთან ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად, ჩვენ მათ ვაძლევთ ინფორმაციას.

4 თვით ადრე პარტიებმა იციან მომავალი საარჩევნო კალენდარი, რაც გულისხმობს იმას, რომ არჩევნები ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს დაინიშნება, მაგრამ აქტი, რომლის მიხედვითაც ეს პროცესი, იურიდიულად შევა ძალაში, აგვისტოს ბოლოს გამოიცემა",- განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

2018 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთლიანად გაზიფიცირებული იქნება

2018 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთლიანად გაზიფიცირებული იქნება. რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს. გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის ნახევარზე მეტი სოფლები, ზოგან მიმდინარეობს სამუშაოები, ხოლო რამდენიმე სოფლის გაზიფიცირება, მომავალი წლისთვის იგეგმება. როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა, გიორგი პაპიაშვილმა გვითხრა, გაზიფიცირების სამუშაოები ამ ეტაპზე მიმდინარეობს ყიფიანთუბანში, უახლოეს დღეებში დაიწყება ტეზერში, ასევე, დაგეგმილია სათივეში და სარმანიშვილისკარში. რაც შეეხება სამომავლო პროექტებს, იგეგმება მიწობი- წრომის მხრის გაზიფიცირების სამუშაოების წარმოება და შემდეგ უკვე დიდი ალბათობით,ჭერათხევის ხეობაში,რადგან 2018 წელს,ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს გაზი. ამ პროექტში ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა მხოლოდ და მხოლოდ შუამავლის პოზიციაშია, ჩვენ ვაწვდით ინფორაციას სოფლების შესახებ და კერძო კომპანია, თავისი ფულადი რესურსების გათვალისწინებით, თვითონ წყვეტს, თუ სად მოახდინოს გაზიფიცირება.

ქვემო ოსიაურში და ალში გზები მოასფალტდა, ქინძათში მინისტადიონი მოეწყო

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროს გიორგი პაპიაშვილთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები დაათვალიერა, კერძოდ, სოფელ ოსიაურში და ალში გზის მოასფალტების სამუშაოები და სოფელ ქინძათში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტებისთვის ჯამში 220 958 ლარია გამოყოფილი, სოფელ ალში გზის მოასფალტებისთვის ჯამში-399 000 ლარი. სოფელ ქინძათში მინი სტადიონის მოწყობისთვის 47 185 ლარი გამოიყო. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 11 207 ლარით დაფინანსდა ახალსოფელში წყაროს კეთილმოწყობაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალსოფელში, სატივეში და აგარებში დასრულებულია გაზიფიცირების სამუშაოები, რაც ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

გაიმართა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა ქართლის რეგიონული ფორუმი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ გორში, შიდა ქართლის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგიონული ფორუმზე იმსჯელეს.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იუწყებიან, ფორუმს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე დაესწრო. ღონისძიებაში მონაწილეობდა შიდა ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილე სოსო ოქრომელიძე, შიდა ქართლის რეგიონში მოქმედი კოოპერატივების წევრები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა უწყებების, ასევე საფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ისაუბრა და პროგრამებში კოოპერატივების ჩართულობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი ზაქაიძის თქმით, რეგიონალური ფორუმების, როგორც არაფორმალური პლატფორმის მიზანია, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს საქართველოში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მათ წინაშე არსებული პრობლემების გასაჯაროებასა და მათ გადასაჭრელად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ფორუმის მსვლელობისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს განხილვებში.

რეგიონალური ფორუმების გამართვა დაგეგმილია საქართველოს ყველა რეგიონში. ფორუმების გამართვა ორგანიზებულია ENPARD - ის პროგრამის მიერ დაფინანსებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროექტის" ფარგლებში, რომელსაც კომპანია EVOLUXER ახორციელებს.

დღეისათვის, შიდა ქართლის რეგიონში რეგისტრირებულია 106 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის გორში - 47, ქარელში - 10, ხაშურში - 37, კასპში - 12. მათი ძირითადი საქმიანობა მეფუტკრეობას, მემარცვლეობას, მეხილეობას და მებოსტნეობას მოიცავს.

ხალხურ ენაზე რომ ვთქვათ, მინიმუმ ჭკუის სასწავლებელი იქნება, მძღოლი დარღვევების გამო მართვის მოწმობას რომ დაკარგავს

”საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონში” ცვლილებები ამოქმედდა. სიახლეების ძირითადი ნაწილი ქულათა სისტემასა და უკონტაქტო პატრულირების შემოღებას უკავშირდება. რას გულისხმობს ცვლილებები, რომელიც რამდენიმე დღეში შედის ძალაში, რა უნდა იცოდნენ მძღოლებმა, რა დამატებითი საშუალებებით გაკონტროლდება საქართველოს გზებზე მოძრაობა და რა მექანიზმებით დაფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, ასევე, სამომავლოდ, რა ცვლილებები შეიძლება შეეხოს მართვის მოწმობის გამოცდის დღეს არსებულ მოდელს, ამ და საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებულ სხვა თემებზე ”ინტერპრესნიუსი” შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, შალვა ხუციშვილს ესაუბრა.

- ბატონო შალვა, თავდაპირველად ვისაუბროთ სიახლეზე, რომელიც ქულათა სისტემას უკავშირდება. როგორც ცნობილია, 1-ელ ივლისს, მართვის მოწმობას 100 ქულა მიენიჭება, საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა კი დარიცხული ქულების შემცირებას გამოიწვევს. რა უნდა იცოდნენ მძღოლებმა ახალი სისტემის ძირითადი პრინციპის შესახებ?

- 1-ელი ივლისიდან ძალაში შევიდა ქულათა სისტემა. ყველა მძღოლის მართვის მოწმობას 100 პირობითი ქულა დაერიცხა, რომელიც 1-ელ იანვრამდე იქნება ძალაში, თუ კანონით დადგენილი წესით არ შემცირდა. შემცირება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი ჩაიდენს სამართლადარღვევას. ამ სამართალდარღვევას დააფიქსირებს პატრულ-ინსპექტორი, მძღოლს გააჩერებს და პირადად დააჯარიმებს. ამ პროცესში პატრულ-ინსპექტორს არ აქვს წვდომა ინფორმაციაზე, თუ რამდენი ქულა აქვს მძღოლის მართვის მოწმობას. შესაბამისად, სპეკულაციები და ინსინუაციები არ იქნება. თუმცა, როდესაც პატრული მძღოლს დააჯარიმებს, ამობეჭდილ ქვითარზე იქნება ინფორმაცია, რამდენი ქულით შეუმცირდა და რამდენი ქულა აქვს დარჩენილი მართვის მოწმობაზე მძღოლს. ასევე მიუვა SMS, რათა მოქალაქეები ინფორმირებული იყვნენ. ქულათა სისტემა მოქმედებს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-ში, თუ ევროკავშირის ქვეყნებში. ამ მოდელის ძირითადი მიზანია, რომ მეტი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოხდეს მძღოლზე, რათა მან თავისი ქცევა გააკონტროლოს, დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები და გაუფრთხილდეს უფრო ფასეულს, როგორიც არის მართვის უფლება, ვიდრე ერთჯერადად, 20 ლარიან, ან 50 ლარიან ჯარიმას. ვფიქრობთ, მოდელი საკმაოდ ეფექტური უნდა იყოს. იგივე წესი მოქმედებს სხვა ქვეყნების მოქალაქეებზეც, რომლებიც შემოვლენ და მათ მართვის მოწმობას საქართველოში იურიდიული ძალა მიენიჭება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქულათა სისტემა არ ვრცელდება არც ვიდეო ჯარიმებზე და არც საურავებზე.

- რა ხდება მაშინ, როდესაც მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულები განულდება?

- როდესაც პატრულ-ინსპექტორი მძღოლს შეაჩერებს და ამობეჭდილ ქვითარზე გამოჩნდება, რომ ქულები განულდა, ან ნულს ქვემოთ არის, ეს ითვლება მართვის უფლების შეჩერების დადგენილებად და იწვევს მართვის მოწმობის მფლობელი პირისათვის მართვის უფლების შეჩერებას ერთი წლის ვადით. თუმცა, არის გარკვეული საშეღავათო პირობა.

- როგორ უნდა მოიქცეს პირი, თუ მას მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობა 0-მდე შეუმცირდა, თუმცა აღნიშნული უფლების აღდგენა სურს?

- მას შეუძლია მომსახურების სააგენტოს მიმართოს, ჩააბაროს გამოცდა სრული პროცედურით და აღიდგინოს მართვის უფლება. თუმცა ამის უფლება აქვს წელიწადში ერთხელ. გამოცდაზე გასვლა მეორე დღესვე შეუძლია, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც ავტომობილის მართვით ირჩენენ თავს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავინახოთ, რომ მძღოლს მართვის უფლება შეუჩერდა, რადგან წესები არ იცოდა, . თუ იცოდა და უგულვებელყოფდა, ხალხურ ენაზე რომ ვთქვათ, მინიმუმ ჭკუის სასწავლებელია, რომ ბევრი დარღვევის გამო, მან მართვის მოწმობა დაკარგა. თუ არ იცოდა, შესაბამისად, მართვის უფლებას ვერც აღიდგენს.

- ქულათა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა რომელ სამართალდარღვევაზე განისაზღვრა შესამცირებელ ქულათა მაქსიმალური ოდენობა?

- მინიმალური ქულა 5-ით, მაქსიმალური კი, 40 ქულით განისაზღვრა. ყველაზე მეტი ქულა აქვს ისეთ დარღვევას, როგორიც არის, მაგალითად ნასვამი ადამიანისთვის ავტომობილის გადაცემა, ასევე როდესაც მძღოლს ბავშვები გადაჰყავს, ავტოსაგზაო შემთხვევას ჩაიდენს და წესებს არ იცავს. სამართალდარღვევის სხვადასხვა ნაწილებია, როდესაც ბავშვებს ეხება, ის ნაწილი მკაცრ სანქციას ითვალისწინებს. უფრო მომეტებული რისკის სამართალდარღვევად ითვლება. რაც შეხება საყოველთაოდ გავრცელებულ დარღვევებს, ჩვენ გავითვალისწინეთ ქართული სპეციფიკა, გავითვალისწინეთ, რომ მოქალაქეებს სჭირდებათ გარკვეული შეჩვევა ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, ამიტომ არც თუ ისე დიდი ქულები არის გახშირებულ დარღვევებზე, თუნდაც ტელეფონზე საუბარზე, ღვედის გამოუყენებლობაზე ისეა ქულები განსაზღვრული, რომ წელიწადში 7-8 დარღვევის შესაძლებლობას აძლევს მძღოლს.

- როგორც ცნობილია, მკაცრდება რეგულაციები ნასვამ მძღოლებთან მიმართებაში და სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს მართვის უფლება უჩერდება. კიდევ რა ცვლილებები ეხებათ მათ?

- თუ ნასვამ მძღოლს შეეძლო 700 ლარიანი ჯარიმით შეცვლილიყო საპატრულო პოლიციის მიერ მისი მართვის უფლების შეჩერება, ახლა მას მხოლოდ სამი თვის გასვლის შემდეგ შეუძლია მიმართვა და 700 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 1000 ლარიანი ჯარიმაა. თუმცა, ასევე დავუშვით, თუ მძღოლი ჩააბარებს გამოცდას, იგივე პრინციპით აღუდგება მართვის მოწმობა, როგორც ქულების გამო ჩამორთმეული მართვის მოწმობის შემთხვევაში.

- თუმცა, საზოგადოების ნაწილის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა შესაძლებლობას, რომლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს მართვის უფლება ვადამდე აღუდგება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემდეგ. ხომ არ ქმნის ეს გარკვეულ რისკებსა და საფრთხეებს?

- ეს დღესაც მოქმედებს, მაგრამ ჩვენ გავამკაცრეთ. კანონით შევზღუდეთ ამ უფლებით სარგებლობის ვადები და წესი.

- ავტომობილის სხვა პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, ვის აკლდება ქულები სამართალდარღვევის ჩადენისას, უშუალოდ სამართალდამრღვევს, თუ სატრანსპორტო საშუალების მფლობელს?

- ქულა აკლდება მას, ვინც ავტომობილი გადასცა წინასწარი შეცნობით ნასვამ ადამიანს. ნასვამი ვინც არის, მას ავტომატურად უჩერდება მართვის უფლება. თუ მძღოლი ნასვამი არ იყო, ავტომობილის მფლობელს არაფერი აკლდება, ქულები დააკლდება პირს, რომელიც მართავდა მანქანას. თუ მძღოლი ნასვამი იყო და დადგინდა, რომ მფლობელმა ავტომობილი ათხოვა წინასწარი შეცნობით ნასვამ ადამიანს, მაშინ ქულები მფლობელს აკლდება.

- რა წესების დაცვა არის აუცილებელი ბავშვების ავტომობილით გადაადგილებისას?

- ბავშვების გადაყვანასთან დაკავშირებით იყო მოთხოვნა, რომ ყველას ჰქონოდა საბავშვო სკამი, რომელიც გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ნაწილობრივ გავიზიარეთ ეს მოთხოვნა. ახლა არის რეგულაცია, რომ 16 წელს მიღწეულ პირს შეუძლია უკანა სავარძელზე კალთაში ჩაისვას ბავშვი, მხოლოდ, თვითონ უნდა ეკეთოს ღვედი. ასევე, საბავშვო სავარძელი თავისთავად, გამოყენებადია.

- უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ „„ინტერპრესნიუსთან" საუბრისას განაცხადა, რომ მძღოლები, რომლებსაც დარღვევები არ ექნებათ და წლის განმავლობაში მართვის მოწმობას 100 ქულით შეინარჩუნებენ, სახელმწიფოსგან წახალისდებიან. თუ არის ცნობილი კონკრეტული წახალისების მექანიზმების შესახებ?

- ეს ჯერჯერობით სიურპრიზად დავტოვოთ. ამაზე ვერაფერს გეტყვით. ჯერ უნდა ვნახოთ, რამდენ ადამიანს დარჩება ასი ქულა წლის ბოლოს.

- რას ნიშნავს უკონტაქტო პატრულირება და საქართველოს მასშტაბით რომელ მონაკვეთებზე განისაზღვრა უკონტაქტო პატრულირების არეალი?

- უკონტაქტო პატრულირება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პოლიციისთვის, რომელსაც აქტიურად იყენებს, მაგალითად საფრანგეთის პოლიცია. ერთ-ერთ წარმატებულ, ეფექტურ საშუალებად ითვლება. ეს არის კიდევ ერთი ინსტრუმენტი პოლიციისთვის, რომ მოახდინოს ფსიქოლოგიური ზეგავლენა მძღოლების ქცევაზე იმ პირობებში, როდესაც მძღოლები კანონს იცავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავენ პოლიციის ავტომობილს, ან კამერას, რომელსაც წინ აქვს ამოსაცნობი ნიშანი. სამწუხაროდ, საქართველოში მძღოლების უმეტესობა მიეკუთვნება ამ კატეგორიას, კანონს იცავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც დამსჯელი მექანიზმი არის. ჯერჯერობით, უსაფრთხოების კულტურა სათანადო დონეზე ჩამოყალიბებული არ არის. სწორედ ასეთი კულტურის ნელ-ნელა ჩამოყალიბებისთვის ვნერგავთ ახალ მოდელს, რომელიც ტექნოლოგიებს ეფუძნება. თქვენ შეიძლება საერთოდ ვერ გაარჩიოთ პოლიციელი. ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მანქანა, მარჯვენასაჭიანი, ან ნებისმიერი, რომელიც გავრცელებულია საქართველოში, მიკროავტობუსიც კი... სწორედ ასეთ ავტომობილში ზის ჩვენი თანამშრომელი, ავტომობილი აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიებით. გარეშე პირისთვის ეს, რა თქმა უნდა, საცნობი არ არის. ამ სისტემის მთავარი მიზანია, რომ შექმნას მოულოდნელობის ეფექტი. საფრანგეთში, გზაზე, სადაც ეს პოლიცია დადის, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება არ ხდება. ჩვენთან ”პერსონალური მონაცემების შესახებ” კანონიდან გამომდინარე, (თუმცა ეს ალბათ გარკვეულად არასწორ წარმოდგენებს უკავშირდება, რომელიც შეიძლება არსებობსდეს) საუბარი იყო, რომ ეს საცნობი ყოფილიყო. ამიტომ, პარლამენტში კონსენსუსის ფორმატში შევთანხმდით, რომ ქუჩის, თუ ავტობანის დასაწყისსა და დასასრულში, სადაც უკონტაქტო პატრულირება განხორციელდება, განთავსდება გამაფრთხილებელი ნიშანი. როდესაც თქვენ შეხვალთ ამ კონკრეტულ სივრცეში გეცოდინებათ, რომ ნებისიმიერ მომენტში შეიძლება ვიდაცამ დააფიქსიროს თქვენი დარღვევა, შეიძლება არც დააფიქსიროს, რადგან იმ მომენტში იქ არ იყოს, რადგან საკმაოდ დიდი მარშრუტი აქვს და მოძრაობს. არ იცით, სად არის. შესაბამისად, ქუჩის დასაწყისსა და დასასრულში იქნება ამოსაცნობი ნიშანი ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად, იმისთვის, რომ ტურისტებისათვისაც გასაგები იყოს ეს ინფორმაცია. ჩვენი ავტომობილი დარღვევას დააფიქსირებს. უნდა გავარჩიოთ ორი მიმართულება - გზატკეცილებზე უკონტაქტო პატრული სპეციალური რადარით იქნება აღჭურვილი, რომელიც სიჩქარეს გაზომავს. ქალაქის პირობებში დააფიქსირებს ნებისმიერ დარღვევას, მაგალითად, არასწორ პარკირებას, არასწორ მანევრს, შუქნიშნის წითელ შუქზე გავლას და ა.შ.

- თუ შეიძლება რომ დაგვიკონკრეტოთ, სად განხორციელდება უკონტაქტო პატრულირება?

- ერთ-ერთი პირველი ლოკაცია, სადაც უკონტაქტო პატრულირება განხორციელდება, ქუთაისის შემოვლითი გზა იქნება, იმის გამო, რომ იქ ბევრი ავარია ხდება და კამერებიც არ არის. ქუთაისის შემოვლითი გზის დასაწყისში განთავსებული იქნება ნიშანი, რომ მიმდინარეობს უკონტაქტო პატრულირება. პირველ ეტაპზე, ეს არ იქნება მასშტაბური, 200-300 ავტომობილი არ იმოძრავებს. საქართველოს მასშტაბით 10 ლოკაციას არ გადააჭარბებს. სავარაუდოდ, იქნება ბათუმში, თბილისში, ქუთაისის შემოვლით გზაზე. მანქანები, მათი სანომრე ნიშნები პერიოდულად შეიცვლება.

- როგორც ცნობილია, არსებობს აპლიკაცია, რომლის მეშვეობით მძღოლები გზებზე განთავსებული ვიდეო კამერების შესახებ წინასწარ ინფორმირებულები ხდებიან და იმ კონკრეტულ მონაკვეთში სიჩქარის გადაჭარბებას ერიდებიან. უკონტაქტო პატრულირებასთან მიმართებაში რამდენად დაცული იქნება სისტემა?

- ასეთი პროგრამა საჭირო არ არის, რადგან როდესაც კონკრეტულ ქუჩაზე, თუ კონკრეტულ ავტობანზე შედიხართ, უკვე იცით, რომ იმ ზონაში ხართ, სადაც თუ წესებს დაარღვევთ, კონტროლი და რისკი მეტია. იმ პროგრამის არსიც ხომ ის არის, რომ არ დააღვევთ იქ, სადაც გიყურებენ, აქაც იგივე პრინციპია. ამოსაცნობი ნიშნებით ისედაც გეუბნებით და პროგრამა აზრს მოკლებულია. დავაკვირდებით რა დარღვევები იყო მანამდე ამ ქუჩებზე და პერიოდულად ეს ქუჩები შეიცვლება. მუდმივად ერთი და იგივე ქუჩები არ იქნება.

- უკონტაქტო პატრულირების არეალში სამართალდარღვევის შემთხვევაში, რა პრინციპით ხდება რეაგირება და რა ვადით ინახება ვიდეოჩანაწერი?

- აბსოლუტურად იგივე პრინციპია, როგორც ვიდეოჯარიმების შემთხვევაში. არ ხდება მუდმივი გადაღება. ფიქსირდება მხოლოდ დარღვევა. ავტომობილი არ დადის და მთელ ქუჩას არ იღებს. როდესაც ხედავს მაგალითად, არასწორ პარკირებას, წითელ შუქზე გავლას... ამას აფიქსირებს, ამის ჩაწერა ხდება. შემდეგ, როგორც ვიდეო ჯარიმებს ვიწერთ და ვაგზავნით, ასევე იქნება ამ შემთხვევაშიც.

- როგორ მიიღებენ მძღოლები ინფორმაციას უკონტაქტო პატრულირების შედეგად დაჯარიმების შემთხვევაში?

- SMS-ით. ფოსტითაც მიუვათ, როგორც ვიდეოჯარიმების შემთხვევაში საერთო წესი არსებობს, ჩათვალეთ, რომ ეს არის ჩვეულებრივი ვიდეოჯარიმა, უბრალოდ მოძრაობაში. მძღოლების ინფორმირების საშუალება იქნება ისეთივე, როგორიც არის ვიდეოჯარიმების შემთხვევაში.

- რაც შეეხება ე.წ. ჭკვიან კამერებს. რითია გამორჩეული დღეს მოქმედი კამერებისგან ე.წ. ჭკვიანი კამერები და როდიდან იგეგმება სისტემის ამოქმე

დება?

- ეს არის სტაციონარული კამერები. ჩვენ ყველა მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული ვართ, კამერების ტესტირება დასრულებულია. პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კამერებს ჭკვიანს ხდის, შეძენილი გვაქვს. ივლისის ბოლოდან დაიწყება ამ კამერების მონტაჟი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ავტობანზე. ახლა დამონტაჟებულია სატესტო, რომელსაც დავაკვირდით და რეალურად, ამ სისტემას დარღვევები ფაქტობრივად არ ეპარება. დასამალი არ არის, რომ მძღოლები მოშვებული არიან და ამ კამერებს დიდად ყურადღებას არ აქცევენ. ყველა კამერასთან განთავსდება ამოსაცნობი ნიშანი და ეს ნიშანი იქნება მაჩვენებელი, რომ ამ კამერის რეალურ დროში კონტროლი მიმდინარეობს პოლიციის მიერ. ახლა ჯარიმების დაფიქსირება ხდება ხელით. ამ კამერების შემთვევაში კამერა მანქანის დანახვისთანავე აფიქსირებს, ვინ არის ავტომობილის მესაკუთრე და ა.შ. თუ დაარღვია, რა დაადვია, ავტომატურად ეს დაკავშირებულია სხვა პროგრამასთან, რითაც იწერება ოქმი. ადამიანის როლი გამორიცხულია. ივლისიდან დაიწყება ე.წ. ჭკვიანი კამერების დამონტაჟება და სისტემა ეტაპობრივად ამოქმედდება. თავდაპირველად განთავსება დიდ ქალაქებში, შემდგომ ყველა მუნიციპალიტეტში იქნება ასეთი კამერები.

- ქვეყნის მასშტაბით რამდენი ე.წ. ჭკვიანი კამერის დამონტაჟება იგეგმება?

- საქართველოს მასშტაბით დაგეგმილია 3000-მდე ასეთი კამერის დამონტაჟება. დღეს ჩვენი თანამშრომლები სხედან და აჯარიმებენ მოქალაქეებს, დაღვევებს ხელით აფიქსირებენ, ადამიანურ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც ფიზიკურად დიდ შრომას მოითხოვს და ისეთი ეფექტურიც არ არის. ჭკვიანი კამერა დაფიქსირებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას. ერთ-ერთი პრინციპი ის არის, რომ სიჩქარის გადაჭარბებას დაფიქსირებას არა მხოლოდ კამერასთან, არამედ, კამერასა და კამერას შორისაც. მოქალაქე, რომელიც კამერასთან შეანელებს მოძრაობას და შემდეგ მოუმატეს, ეს კამერები, მაინც დაითვლიან.

- რამდენად მზად ხვდებიან თავად სამართალდამცავები ცვლილებებს, გაიარეს თუ არა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შესაბამისი მომზადება სიახლეებთნ დაკავშირებით ინფორმირების მიზნით?

- როგორც საპატრულო პოლიციის, ისე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების ტრენინგი მიმდინარეობს. ასევე პროგრამული უზრუნველყოფა გამართული არის. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ სიახლეებს მზადყოფნაში შევხვდეთ.

- როდიდან გადაინაცვლებს მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდები ქალაქის ქუჩებში? როგორც ცნობილია, ამისთვის შესაბამისი სამუშაოებია ჩასატარებელი.

- ჩვენ დავასრულეთ პროექტირების ეტაპი და ეს არის ტექნოლოგიებზე დამყარებული პროექტი. ძალიან დიდია ტექნოლოგიების როლი. პროექტს სჭირდება ამ ტექნოლოგიების შეძენა, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, შემოდგომაზე დასრულდება. შემოდგომის ბოლოს, ან მაქსიმუმ 2018 წლის 1-ელი იანვრისთვის მზად იქნება ინფრასტრუქტურა პრაქტიკული გამოცდის ქუჩაში ჩასატარებლად. აქ საუბარი არის ავტოსკოლების როლზეც. ერთია შსს-ს კომპეტენცია, რომ ჩვენ გამოცდა უნდა გავიტანოთ ქუჩაში და გვყავდეს შესაბამისი ავტომობილები, რომლებიც ამ ინფრასტრუქტურას აღიქვამს, მაგრამ მეორეა, როგორი მომზადებული მოვა გამოცდაზე ადამიანი. სტანდარტი რომ აიწევს, გამოვა, რომ არსებული მომზადების დონე ვედარ დააკმაყოფილებს. თუ ახლა მაგალითად, აბარებს 30%, მერე შეიძლება უფრო ნაკლებმა ჩააბაროს. ამიტომ საჭიროა, ვინც მათ ასწავლის, იმ ხალხმაც რაღაც უზრუნველყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ, რომ მოქალაქეებს მეტი ფულის დახარჯვა მოუწევთ და შედეგი შეიძლება ვერ მიიღონ.

- რაც შეეხება სავალდებულო ტექდათვალიერებას. რა სტადიაზეა ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხზე მუშაობა?

- ტექდათვალიერებაზე მუშაობენ ჩვენი კოლეგები ეკონომიკის სამინისტროდან. ეს არის მათი თემა, ჩვენ უბრალოდ ვემზადებით, რომ ტექდათვალიერების აღსრულება უზრუნველვყოთ.

- როგორ ცნობილია, საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეფორმა არ სრულდება, რა იქნება რეფორმის შემდგომი ეტაპი?

- პირველ ეტაზე პროცესის დეტალური მონიტორინგი გვინდა, თუ რა მოგვცა ამ რეფორმამ. გარკვეული ღონისძიებები შემონახული გვაქვს რეზერვში. იმედია, ეს არ დაგვჭირდება. პლუს, ანალიტიკურ მიმართულებას ვავითარებთ, გვექნება ჩვენი რეფორმების ძალიან მკაცრი მონიტორინგი, თუ რა შედეგი გამოიღეს, რამდენად შემცირდა კონკრეტულ ლოკაციებზე, კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში ავტოსაგზაო შემთხვევები, რამდენად შემცირდა გარდაცვლილების, დაშავებულების საერთო რაოდენობა. ამის შემდეგ იქნება დამატებით ნაბიჯებზე საუბარი.

ანა მარშანია
”ინტერპრესნიუსი”

ჯაცი მეგობრობის, ძმობის, განათლების, შინაგანი კულტურის, პატრიოტიზმის ნამდვილი სიმბოლო

მურად მთვარელიძის ახალი წიგნის - „ხაშურის მისტერიების“ შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით და მკითხველს ამ წიგნის ერთი ფრაგმენტიც შევთავაზეთ. დღეს კიდევ ერთ მონაკვეთს გთავაზობთ, რომელიც მართლაც შესანიშნავ პიროვნებას **კარლო ნადირაძეს** ეძღვნება.

*****

ნადირაძეების ოჯახის და მთელი ხაშურის მშვენება იყო კარლო ნადირაძე, კაცი მეგობრობის, ძმობის, განათლების, შინაგანი კულტურის, პატრიოტიზმის ნამდვილი სიმბოლო, ვინც 50_იანი წლებიდან მოყოლებული ალამაზებდა და აფაქიზებდა ჩვენს რაიონს.

ვის არ აგონდება კარლო ნადირაძე –
ეს თხემით ტერფამდე მართალი კაცი,
მან ისე იარა თავის მიწა-წყალზე,



ერთხელ არ მოსვლია მარცხი...

იყო ჭეშმარიტი „ენციკლოპედია,”
და უერთგულესი ძმაკაცი ძმაკაცთა,
წავიდა უდროოდ და როგორც ლეგენდა,
ჩვენს გულში ლექსივით განკაცდა...

სუფრას უძღვებოდა, ვითარცა რაინდი,
ენამჭევრი იყო და ბრძენი თამადა,
იცხოვრა ისე, ვით ერთმა ჩვენთაგანმა,
მოკვდა და ჩვენს თვალში სხვაგვარად ამაღლდა.

რა საღამოები, რა მოგონებები,
თითქოს მის გარშემო ბრუნავდა ქალაქი,
ახლაც ბევრს ჰყვებიან მასზე მეგობრები.
მე კი მაგონდება პატარა არაკი:

სურამში ლესიას მუზეუმს ხსნიან,
ქართველი მწერლებით სავსეა ეზო,
კარლო ნადირაძეს სიტყვა აქვს სათქმელი,
მის წინ კი სიტყვას ამბობს ბესო...

ბესო რის ბესოა, ჰოდა ენამზეობს,
ჰოდა ენამზეობს ეგზომ,
და თურმე შეწუხდა ჩვენი “პეტროვიჩი”,
რაც მას უწერია და მან, რაც უნდა თქვას,
სწორედ იმას ამბობს ბესო...

რადა ქნას, ჰა, მისი გამოსვლის ჯერია,
ხელი ჩაიქნია და დაიწყო კითხვა,
განცვიფრდა ბესო ჟღენტი, ო, ეს მისტერია,
თუ რა ჯანდაბაა, ჩაფიქრდა დიდხანს...

თურმე, ნუ იტყვით და, გაზეთში წაიკითხა
და მერე სტრიქონი სტრიქონებს მიჰყვა
და გაიზეპირა იქვე კრიტიკოსმა
ჩვენი “პეტროვიჩის” სიტყვა.

არ ვიცი, ვინ იყო მაშინ ბედნიერი,
ბატონი ბესო თუ კარლო,
მე კი დღეს ვიხსენებ იმ წუთებს ბედნიერს,
და ჩემთვის განგებას ვმადლობ...

კარლო ნადირაძის უმდიდრესი ბიბლიოთეკა მრავალ ავტოგრაფიან წიგნს ინახავს. მათზე, ძირითადად, ასეთი წარწერებია: “ბატონ კარლოს, ხაშურის მშვენებასა და კოლორიტს! დიდი სიყვარულით, ...” წიგნებს ჩუქნიდნენ ნოდარ დუმბაძე და გურამ ფანჯიკიძე, მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭავარიანი...

კარლო ნადირაძის დღიურებში კი არის ასეთი ჩანაწერი:

“პატივცემულ კარლო ნადირაძეს

ზურაბის მონოლოგი

მზე ჩაესვენა და ლურჯ მწვერვალებს
გაჰკიდა ბროლის იაგუნდები,
მე ზურაბი ვარ და თუ გაჭირდა,
ციხის კედელშიც გადავბრუნდები!

ლაშა ნადარეიშვილი”.

კლარა ელჩიბეგაშვილი: “ერთხელ ბორჯომში მივდიოდით კარლოსთან ერთად. ძალიან ლამაზი შემოდგომის დღე იყო და რატომღაც გალაკტიონის ლექსის სტრიქონები წარმოვთქვი ხმამაღლა:

გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები.
მთების ლურჯი კამარა,
მწვანე სამოთხეები.

–იცი, მომიბრუნდა კარლო, ამ სტრიქონების დაბადების მოწმე მე ვარო და გვიამბო გორის პედინსტიტუტში გამართული გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული საღამოს შესახებ, რომლის წამყვანი და ორგანიზატორი, მწერალ ოთარ ჩხეიძესთან ერთად, თვითონაც ყოფილა. საღამოს შემდეგ, ნადიმი სოფელ კარალეთში გადაუხდიათ. სუფრიდან მოულოდნელად წამომდგარა დიდი გალაკტიონი და მას თან ოთარი და კარლო გაჰყოლიან. – “ბიძიკოებო, უთქვამს პოეტთა მეფეს, ხედავთ ზევით როგორ ჰკიდია ვარსკვლავები ზეცას, ნამდვილი სამოთხეა. მოგვიანებით გალაკტიონს სუფრაზე წაუკითხავს ახლადშექმნილი ლექსის სტრიქონები”. (“ხაშურის მოამბე” 1994 წ. 9 სექტემბერი).

და მაინც, კარლოს დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ყველაზე მძაფრად მისმა უახლოესმა მეგობარმა, **მურთაზ ლიპარტელიანმა** ამ ლექსით გამოხატა:

ენციკლოპედი, დიდი კაცი, დიდი თამადა,
ჩვენი ხაშურის სალოცავი და ჩენი ღმერთი,
შენ დადიოდი უსაშველოდ სუფთა და დიდი,
განუსაზღვრელად უწმინდესი და ერთადერთი.

მკრეხელობაა ჩემგან შენთვის მოწერა ლექსის,
ლექსის წერაზე არ გვქონია ჩვენ პრეტენზია,
როცა გვიჭირდა, როცა გვქონდა გაუსაძლისი,
მაშინ გვშველოდა, გვამხნევებდა ჩვენ პოეზია.

ღმერთმა არ ქნასო, გაიჩეხოს ტყე სამეგობრო,
იტყოდა ხოლმე ჩვენი ბრძენი ხვედელიანი,
და რა ვიცოდი, გაივლიდა წლების სათვლელი
ტყე კი არა და უდაბნოა და ლელიანი.

აღარ გვყავს პეტა, აღარ არის ჩვენი ზაური,
ხსოვნის საღამოს გადაიხდის ჩვენი მორისი,
და ორი კარლო – ნადირაძე, ხვედელიანი,
და გზა გოლგოთა - ასე მძიმე, ასე შორისი,

წახვედი ისე უხმაუროდ, როგორც ნატრობდი,
ჩვენი სიცოცხლე გადახაზე ვით მეტეორმა,
იცხოვრე ისე ალალად და ქრისტიანულად,
როგორც აქამდე ვერ იცხოვრა ჩანს, ბარე ორმა.

შენ სხვა იყავი, სხვანაირი დაგქონდა ჯადო,
აბნეულ გემებს გვინათებდი შუქურა, კოშკი,
შენგან ვისწავლეთ ჩვენი მიწის ზღვა სიყვარული.
შენით ვაღმერთეთ ჩვენი ტბეთი, ზარზმა და ოშკი.

შენ რომ გეხილა სათაყვანო შენი მამული,
შენ რომ გენახა საქართველო ფერფლად ქცეული,
მე კარგად ვიცი, გადამთიელს როგორც თევდორე
მოუსავლეთში წაიყვანდი მხნე და ეული.

მკრეხელობაა ჩემგან შენთვის მოწერა ლექსის,
ლექსის წერაზე არ გვქონია ჩვენ პრეტენზია,
როცა გვიჭირდა, როცა გვქონდა გაუსაძლისი,
მაშინ გვშველოდა, გვამხნევებდა ჩვენ პოეზია.

კარლო ნადირაძის არქივში კი დარჩა მისი დღიურები და ჩანაწერები, რაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, ჩვენი ერის სახელოვან ადამიანებთან.

–სპეციალისტი გვირჩევს –

დროულად დავამზადოთ თ ი ვ ა

მეცხოველეობაში გამოყენებული საკვები საშუალებები ძირითადად მცენარეული წარმოშობისაა; მათ მიეკუთვნება უხეში,წვნიანი,კონცენტრირებული, კომბინირებული და სხვა საკვები.

თ ი ვ ა საუკეთესო უხეშ საკვებს წარმოადგენს.

იგი მიიღება მოთიბული მწვანე ბალახის ბუნებრივი ან ხელოვნური გამოშრობით, იმ დონემდე, რომ მასში წყლის რაოდენობა 14 – 18% - ს არ აღემატებოდეს.

სხვა უხეშ საკვებთან შედარებით თ ი ვ ა მაღალი ყუათიანობით გამოირჩევა; მრავალწლოვანი ბალახებისგან (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, უფხო შვრიელა და ა. შ.) დამზადებული თივის ყოველი კილოგრამი 0,50 საკვებ ერთეულს შეიცავს;

ასეთი, განსაკუთრებით, პარკოსანი ბალახებისგან (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და სხვ.) დამზადებული თივა სრულფასოვანია,მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით,ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით; მას ძირითადად იყენებენ მოზარდი, მაკე და მეწველი პირუტყვისათვის.

თივის დამზადების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი და იგივე მცენარის სხვადასხვა ნაწილს არაერთგვაროვანი კვებითი ღირებულება აქვს; მცენარის ფოთოლი, ყვავილედი, ღეროს ზედა ნაწილი უფრო მეტ ცილოვან, მინერალურ ნივთიერებებსა და კაროტინს შეიცავს, ვიდრე მცენარის ღერო.

მაღალხარისხოვანი თივის მიღების და დანაკარგების შემცირებისათვის აუცილებელია ბალახის თავის დროზე გათიბვა, თიბვის სიმაღლის დაცვა, ნათიბის დროზე მოგროვება,დაბულულება და თივის ზვინების დადგმა,აგრეთვე, თივის სათანადო შენახვა.

თივისა და ნედლი პროტეინის ყველაზე დიდ მოსავალს იღებენ მარცვლოვანი ბალახების (მდელოს ტიმოთელა, წივანა, კაპუეტა და ა. შ.) დათავთავების ან პარკოსანი ბალახების (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და ა. შ.) ყვავილობის ფაზაში თიბვის დროს;

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე ყველაზე ეფექტურია ბალახთდგარის გათიბვა ყვავილობის დროს, როდესაც ბალახები მეტი რაოდენობით იძლევა საკვებ მასას და საყუათო ნივთიერებებს.

ბალახთდგარის მოთიბვის სიმაღლეზე დამოკიდებულია თივის გამოსავლის სიდიდე და მისი ხარისხი;

რეკომენდებულია ბალახის თიბვა 4 – 6 სმ სიმაღლეზე.

თივის მოსავლის აღების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თავის დროზე და სწორ მოგროვებას, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია მცენარის ყველაზე ყუათიანი ნაწილების - ფოთლებისა და ყვავილების დიდი დანაკარგები მივიღოთ.

მწვანე ბალახი წყალს მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს. მოთიბული ბალახის გაშრობისათვის აუცილებელია შესაფერისი სითბო, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა და ჰაერის მოძრაობა. პარკოსანი ბალახები უფრო ნელა შრება, ვიდრე მარცვლოვნები;

საკვების ყუათიანობის შენარჩუნებისათვის ბალახის შრობა თივად მოკლე დროში უნდა ჩატარდეს, საყუათო ნივთიერებათა მნიშვნელოვან ნაწილს თივა კარგავს წვიმისგან ან ბალახის ზედმეტი გაშრობისგან.

უფრო მეტად გავრცელებულია ბალახის ბუნებრივ, მინდვრის პირობებში

(დასასრული IV გვერდზე)

ნიკოლოზ ჩხეიძე-თბილისისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი

ჩხეიძეთა სახლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია ქართლისა და თბილისის მთავარ ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე - გორგასალ ჩხეიძის შვილი, ბეჟან ჩხეიძის ძმა.

სასულიერო სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩხეიძეთა იმერეთის სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა. ამ სახლის არაერთ მათგანს დასავლეთ საქართველოში ვხედავთ სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე. 1557-1578 წლებში აფხაზეთის კათალიკოსია ევდემონ ჩხეტიძე (ჩხეიძე) რომელმაც საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გადმოიტანა გელათში. 1660-1666 წლებში კათალიკოსის ტახტზეა სიმონ I ჩხეიძე. ჩხეიძეები იყვნენ ხონელი ეპისკოპოსები მანოელი და ზაქარია, ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე, ჯუმათელი ეპისკოპოსი სიმონი, მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე და სხვ.

სასულიერო სფეროში ქართლელ ჩხეიძეებს ნაკლებად ვხედავთ, იშვიათადაც. ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მათგან სასულიერო სფეროში მხოლოდ ნიკოლოზია - თბილისისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი (გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხები (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტომი I, თბ. 1973, გვ. 333-334) ნიკოლოზ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძესთან ერთად, აახლებს იტრიის მონასტერს. ამ დროს აუშენებიათ სიჩდო, აღუდგენიათ სამრეკლო, გალავანი, სენაკები და სხვა. ამის შესახებ ცნობები დაცულია მის მიერვე გაცემულ სიგელში:"... ქართლისა და დედაქალაქის მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონმან ნიკოლოზ, ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და გუჯარი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ საშინელოდ ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელო და მხსნელად მათად გამოჩენილო, ყოვლად უბიწოვო, დედაო ღვთისაო იტრიისა სიონთა ღვთისმშობელო თუით მინდობილმან შენმან მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონმან ნიკოლოზ, ძმამან ჩემან პატრონმა ბეჟან და ძმისწულმა ჩემან ქაიხოსროვ და მომავალთა სახლისა და ჩუენისამ, ან ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ვითაცა დიდთა მეფეთა ტაძარი წმიდა ესე თქუენი და შესავალი თქუენი ალაგები მოგიეცეს და მოგუიბოძეს, ჟამთა ვითარებისაგან და მევარის(?) კაცისაგან საბძანისი ალაგი თქუენი დიად დანგრეულ-დაქცეულიყო. შეწევნითა ღვთისათა და ძლიერებითა შენთა, რაცა ოდენ ძალგუედვა აღვაშენეთ სიჩდო და მონარღუევი თქუენი სამრეკლო-სენაკები და გალავანი და სხუა, რომელიცა აკლდა, ავაშენეთ და შევამკევით პწყინვალესა სახელსა შენსა ზედან..." (სცსსა, ფ. 1449, საბუთი 1535).

ნიკოლოზ ჩხეიძის ამ სიგელს ეხმაურება და მისი შედგენის დროც ზუსტდება იტრიის მონასტრის სამრეკლოს დასავლეთის „კარებზედ, დიდ ქვაზე" „მხედრული ასოებით" შესრუებული წარწერა, რომელიც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს გადმოუწერია 1848 წელს. ეს წარწერა დღეს აღარ არსებობს. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიხედვით წარწერა ასე იკითხებოდა:

„ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა და ძალითა ამის მონასტერისათა ხელ ვყავ და აღვაშენეთ ესე სამრეკლო და სენაკები და გალავანი ჩუენ ჩხეიძემ ბეჟან და წინამძღვარმან ნიკოლოზ დღეთა ჩუენთა წარსამართებლად და სულისა ჩუენის საოხად მეფობასა როსტომისასა დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისასა მრავალნიცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი ქკს ტმდ" (1656) (იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ. 2016, გვ. 74).

ამ წარწერაზე დაყრდნობით, ნიკოლოზ ჩხეიძეს ზემოთ მოტანილი სიგელიც 1656 წლით უნდა დავათარიღოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1979 წელს იტრიის სამრეკლოს დასავლეთის კარებთან ახლოს ნაპოვნი იქნა ქვის პატარა ფრაგმენტი, რომლის ზედაპირზე მხედრულად შესრულებული „დედ" იკითხება. ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს ზემოთ მოტანილი წარწერის ნაწილი. ამაზე მიგვანიშნებს წარწერაში არსებული სიტყვა,- „დედოფლობასა".

ეს წარწერა XIX ს-ის 60-იან წლებში, ეკლესიაზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს, უნდა განადგურებულიყო, ამ დროს ეკლესიის ბევრი საყურადღებო დეტალი დაიკარგა (განადგურდა), რაზეც მოგვიანებით ე. თაყაიშვილიც მიუთითებს.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობით, ასეთივე შინაარსის წარწერაა „... აღმოსავლეთის მხარეს, ამავე სამრეკლოს ფანჯრის თავზედ". დღეს ამ წარწერის მხოლოდ ქვედა ნაწილია დარჩენილი, რომელშიც როსტომ მეფე და დედოფალი მარიამია მოხსენიებული. ზედა ნაწილი აღარ იკითხება.

ამავეს ლაპარაკობს მონასტრის სამრეკლოს წარწერაც. სამრეკლოს წარწერაში, რომელიც 1656 წლით თარიღდება, ნიკოლოზი იტრიის ეკლესიის წინამძღვარია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ იგი თბილისის მთავარეპისკოპოსი ხდება.

1661 წელს, მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე მოწმეა პაპუნა სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისადმი მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (ხეც, შდ-50);

1662 წელს მის მიერ გაცემულია სიგელი (ხეც, შდ-50); ამავე წელს მოწმეა ანჩაფ ტუღურუნაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (თედო ჟორდანია, ქრონიკები, ტომი II, ტფ. 1984, გვ.48. ს.კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, ტომი IV, თბ. 1914, გვ. 37, სცსსა, ფ. 1449, საბუთი 1189

1663 წელს ნიკოლოზი მოწმეა ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ იორამ თარხან-მოურავიშვილისათვის მიცემული ფიცისა (ხეც, დ-14435)

1664 წელს მისი ბრძანებით ფარემუზ და იესე ბედისმწერლისშვილებმა გადასწერეს კურთხევანი (იქვე, -1742, გვ. 314-316).

1670 წელს "მთავარეპისკოპოსი ჩხეიძე ბატონი ნიკოლოზ", შახნავაზ (ვახტანგ V) მეფის ბრძანებით, დომენტი კათალიკოსთან, გივი ამილოხორთან, ბატონიშვილ აშოთანთან, სახლთხუცეს ზაზასთან, ტბილელ იოსებთან, ბოვნელ იოსებთან ერთად გაარიგა გიორგი, ყაფლან ბარათაშვილებს და პაპუნა ვირშელიშვილს შორის სამამულო დავა (იქვე, შდ-534). 1671 წელს ნიკოლოზი მოწმეა ციციშვილების სადაო მიწის გამო დომენტი კათალიკოსის მიერ მიცემული სამართლისა: "ჩვენ, მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ ჩხეიძე ამ საყდრის საძირკვლის კურთხევაში დავხვდი და ამ სამართალში და მოწმე და გარდამწყუეტელნი ვართ"(ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, გვ.569)

1671 წელს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, თავის ძმასთან ბეჟანთან და ძმისშვილებთან ერთად "სახლის ალაგს" აძლევს ნასყიდა ბაქრაძეს. "სახლის ალაგი" იტრიაში უნდა იყოს ან მის სიახლოვეს. ამას გვაფიქრებინებს სიგელში დაფიქსირებული ზოგიერთი გვარი (ჟამისაძე, ბლიაძე და სხვ.), სოფლები ბეკამი და ლუბრუმა: "...ჩვენ ჩხეიძემ ბატონმან მთავარეფისკოპოზმა ნიკოლაოზ, ძმამა ჩემა ბატონმა ბეჟან, ძმისწულმა ჩემა ბატონმა ქაიხოსრომ, თეიმურაზ, სეხნიამ, სახლისა მომავალთა ჩვენთა ყოველთავე, შენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ბაქრაძე ნასყიდა გაატაზს, შვილსა შენსა თამაზას, სეხნიას, სახლისას შენისა ჩამომავალთა ყოველთავე, ასრე რომე სახლისა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გავსინჯეთ და საყდარს ვერ გაგაშორეთ, გიბოძეთ სახლის ალაგი ჩვენს დოლაბს გაღმა მლაშეს იქეთ, რომ გზა შეექცევა იქამდი, ჭიჭინაძემ რომ ტყე გაჭკაფა, ისიც გიბოძეთ, შუას ტყეზედ რომ გზა გარდმოივლის იქამდი, ჟამისაძის მიწის სახნავამდი. შენ რომ ესახლები, ვენახით რომ თეთრი მიწის გზა ჩამოვა იქამდი. ავთანდილი რომ მიწას ხნევდა, ისიც გიბოძეთ როსაფ მაჭავარიანის წისქვილამდი. დიდ ხევამდი ჩვენის კონდაკით ამოგებულის თეთრით გიყიდეთ შოშია ბლიაძისაგან ბეკამს მამული დაგდევთ სადაპო შეგიწირეთ ზეშთა სახიერსა სიონთა ღვთის მშობელსა სულისა ჩვენისა საოხად. ლუბრმას გიბოძეთ ერთი საკომლოს ნახევარი მიწა სახნავი გაატაზობით საყდარს ამსახურებდი ულუსში სამს დღეს მკა, სამს დღეს ბარვა. ამის მეტი სათხოვარი ჩვენგან შენ არა გეთხოებოდეს-რა არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან" (სცსსა, ფ.1450, დავთარი 35. საბუთი 89)

იტრიის ეკლესიაში, სამკვეთლოს სიახლოვეს მდგარ ბურჯთან მონაცრისფერო გრანიტის ქვის ერთი მოზრდილი ფილაა იატაკზე დაგებული. ჩანს, რომ იგი საფლავის ქვის ნაწილია. სამხრეთის ნავში, ბურჯებს შორის, იატაკზე დაგებული მცირე ზომის ფილაც ამავე ქვის ნაწილი უნდა იყოს. ეს ალბათ XIX საუკუნის 60–იანი წლების დროინდელი არის, როცა ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარეს. აქვე სამხრეთის კედელთან საფლავის ფილაა, რომელზეც წარწერა გადაფხეკილია და შეუძლებელია რამის ამოკითხვა.

სამკვეთლოს სიახლოვეს დაგებულ ფილაზე შეიმჩნევა წარწერის კვალი. კარგად იკითხება „ტნთ", რაც ალბათ ქორონიკონის აღმნიშვნელი უნდა იყოს. იკითხება აგრეთვე სიტყვების ფრაგმენტები: „ასა", „ამა". ასეთივე წარწერის ფრაგმენტი შეიმჩნევა სამხრეთის ნავში მსგავს ფილაზე – „კარ".

„ტნთ"–ს რიცხვითი მნიშვნელობა 359–ია, რაც უდრის ქორონიკონის 1671 წელს (1312+359=1671). რას უნდა გვეუბნებოდეს საფლავის ქვაზე გაკეთებული ეს მინიშნება? მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლება. იტრიაში ხომ არ უნდა იყოს დაკრძალული ნიკოლოზ ჩხეიძე – ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი? ხომ არ უნდა ვიფიქროთ რომ იგი 1671 წელს გარდაიცვალა და მის მიერვე აღდგენილ და გამშვენიერებულ ეკლესიაში დაიკრძალა? იგი ხომ ამ მონასტრის წინამძღვარიც იყო XVII საუკუნის 40–50–იან წლებში.

1671 წლის შემდეგ ნიკოლოზ ჩხეიძე წყაროებში აღარ მოიხსენიება, რაც ზემოთ აღნიშნული ვარაუდის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

ჩვენს ვარაუდს განამტკიცებს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის 1848 წლის ჩანაწერი: „ეკკლესიაში მარცხნივ არის დიდი საფლავის ქვა, ზედა სწერია მხედრულის დიდის ასოებით: ჩვენ მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე. სხვა აღარ ჩანს" (იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ. 2016, გვ. 74).

თ. ლაცაბიძე

(დასასრული)

დროულად დავამზადოთ თ ი ვ ა

შრობა.

ბულულებში თივა ზოგჯერ სველდება, ამიტომ ძირების დადგმამდე ბულულები უნდა გაიშალოს საბოლოო გაშრობისათვის.

როდესაც თივა ღვარეულებსა და ბულულებში ნორმალურ ტენიანობამდე გაშრება, იწყებენ ძირებად დადგმას;

ძირად და ზვინად დასადგმელ თ ი ვ ა ს უნდა ჰქონდეს 14 – 18 % - ი ტენიანობა, უფრო დიდი ტენიანობის მქონე თივა ჩახურდება, კარგავს მწვანე ფერს, შიძლება დაობდეს და გაფუჭდეს.

შესანახი თივის მზადყოფნას შემდეგნაირად საზღვრავენ:

თუ გადაგრეხვისას ბალახის ღეროები რამდენადმე იმსხვრევა, ღეროების ნაწილი იმტვრევა და წყალს არ გამოყოფს, მაშინ ასეთი თივა შეიძლება დაიდგას შესანახად;

თუ თივის გადაგრეხილი კონა მკვრივია და ღეროს გადაგრეხილი ადგილიდან წყალი გამოიყო, ასეთი თივა ძალიან ტენიანია და მისი დადგმა ხანგრძლივ შესანახად დაუშვებელია.

ზვინის დიამეტრი უნდა იყოს 4 – 5 მეტრი, სიმაღლე - 6 – 6,5 მეტრი, ყველაზე შესაფერისად ჩაითვლება ისეთი ფორმა, სადაც ზვინის შეწვრილება სიმაღლის 2/3 - იდან დაიწყება.

თივის ძირებისა და ზვინის დადგმის ადგილზე აწყობენ ფიჩხს, დასაფენ ლატანს, ძველ ნამჯას, რათა ქვევით თივა ნესტისგან არ გაფუჭდეს;

ზემოდან ზვინებს ჩალა ან ნამჯა უნდა დავაფაროთ.

ძირში ან ზვინში თივა ისე უნდა დაიწყოს, რომ მათი შუაგული მაღალი იყოს გვერდებზე, შუაგული აუცილებლად უნდა დაიტკეპნოს, რათა შემდგომში არ გაკეთდეს უნაგირი, საიდანაც მოსალოდნელია წყლის ჩასვლა.

უმჯობესია თივის შენახვა გადახურულ სათავსში, ფარდულში.

თივის ფერი, რომელიც კარგ ამინდშია აღებული, სხვადასხვანაირია:

მარცვლოვანი ბალახების თივა მწვანეა, იონჯისა - ღია მწვანე, სამყურას თივა - მოყავისფრო მწვანე და ა. შ.

დროულად და კარგ ამინდში აღებულ თივას არომატული, სასიამოვნო სურნელი აქვს.

მაისის თვისა და ივნისის წვიმებმა ბალახი ქვაზეც კი ამოიყვანა;

აუცილებლად გავეცნოთ ამინდის პროგნოზს, გადავხედოთ ჩვენს ფერმერულ შესაძლებლობებს, დავგეგმოთ და შევუდგეთ თივის დამზადებას.

ავთანდილ გოგალაძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ერთი ეპიზოდი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან

დიმიტრი ყიფიანის თანამედროვენი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებენ მის პატიოსნებასა და უაღრესად მაღალი ზნეობრიობის შესახებ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი ყიფიანის არქივში, 515-ე ნომრით დაცულია ბერუა და სოსია კიკაძეებისათვის ზურაბ ჩხეიძის მიერ მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი, რომელიც 1820 წლის 30 მაისით არის დათარიღებული. მასზე, 1866 წლის 8 აგვისტოს დიმიტრი ყიფიანის მიერ გაკეთებული მინაწერი ზემოთ აღნიშნულის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია.

მიწის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია:

„ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე ტეზერში მცხოვრებელმან აზნაურმა ზურაბ ჩხეიძემან, შენ, ბეკამში მცხოვრებელს კიკაძეს ბერუასა და ბიძაშვილსა შენსა სოსიასა და მომავალსა სახლისა თქვენისასა. ასე, რომ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი სამკვიდრო მიწა შოლის პირზე ორი დღისა, თავს შარამდინ, ბოლოს შოლამდინ, ერთი გვერდი თეთრ სამნებამდინ, მეორე გვერდი კიდევ შოლამდინ. ავიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა, რომ შენზედ აღარა დარჩენილა - რა არცა მცირედი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდა, ეს ისე მოგახმაროს ღმერთმა ყოვლის კაცის უცილებლად და თუ ამაში მოდავე და მოლაპარაკე გაგიჩნდეს ვინმე, პასუხის გამცემი მე ვიყო. არიან ამისი მოწმენი ქვიშხეთში მცოვრებელნი აზნაური დავით ყიფიანი და იმისი ძმა ნიკოლოზ ყიფიანი, კიდევ ქვიშხეთში მცხოვრებელ ნინია ინასარიძე და მე აზნაურს ქაიხოსრო ყიფიანს დამიწერია ამ ორთავეს მხრით თხოვნითა და მოწამეთა ვარ ამისი.“

ნასყიდობის წიგნში თითქოს ყველაფერი კარგად არის აღნიშნული: ტეზერში მცხოვრებ აზნაურს ზურაბ ჩხეიძეს ბეკამში მცხოვრები ბერუა კიკაძისა და მისი ბიძაშვილისათვის - სოსიასთვის მიუყიდია თავისი „ალალი სამკვიდრო მიწა შოლის პირზე“, საზღვრებიც მითითებულია, გამყიდველი პირობასაც აძლევს კიკაძეებს: „თუ ამაში (მამულში თ.ლ.) მოდავე და მოლაპარაკე გაგიჩნდეს ვინმე, პასუხის გამცემი მე ვიყოო“. ნასყიდობას მოწმეებიც ემოწმებიან და ა. შ. მაგრამ გავიდა ოთხ ათეულ წელზე მეტი და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა ნასყიდობის წიგნის სიყალბე.

დიმიტრი ყიფიანი, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობდა მამულების შეძენას. მან ავალიშვილებისაგან შეიძინა მამული ბორჯომის ხეობაში,აბაშიძეებისაგან - ქვიშხეთსა და მის შემოგარენში და ა.შ.

1866 წელს მან მიწის ნაკვეთი შეიძინა ტეზრის სანახებში, რომელშიც მოჰყვა ბერუა და სოსია კიკაძეების მიერ 1820 წელს ზურაბ ჩხეიძისაგან ნაყიდი ორი დღის მიწა. ბერუა და სოსია კიკაძეები ამ დროს აღარ იყვნენ და მიწას მათი მემკვიერები თომა და ტიმოთე კიკაძეები ფლობდნენ ახლა ადვილად გაირკვა დოკუმენტის სიყალბე, გაირკვა ისიც, რომ მათი წინაპრების ნაყიდი მიწა სრულებით არ ეკუთვნოდა აზნაურ ზურაბ ჩხეიძეს. არც დასახელებული მოწმეები ცხოვრობდნენ ქვიშხეთში 1820 წელს და რაც მთავარია, ქაიხოსრო ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმა, არ აღმოჩნდა ნასყიდობის წიგნის შემდგენი, დამწერი და მოწმე. გლეხები, რომლებიც ოთხი ათეული წელი ფლობდნენ მიწას, მასზე კარგავდნენ საკუთრების უფლებას. ეს კი, გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა გლეხთა ოჯახებს ეკონომიკური თვალსაზრისით.

დიმიტრი ყიფიანს, გულთან მიუტანია კიკაძეების გასაჭირი და მიუღია გადაწყვეტილება, რომლითაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი კეთილშობილება და გულისხმიერება. წინ წამოვიდა ადამიანური მომენტი, რომელიც უცხო არასდროს არ იყო დიმიტრისათვის.

ნასყიდობის წიგნზე, ბოლოში, გაჩნდა ასეთი მინაწერი: „რადგან ეს მიწა, ზომით სულ ორი დღისა, ჩემი ნასყიდი მიწის სამზღვრებში აღმოჩნდა. თუმცა, ეს ქაღალდი შესაწყნარებელი არ არის, ამიტომ, რომ არც ეს მიწა ყოფილა როდისმე ჩხეიძისა, არც ჩყკ-ში (1820) დასახელებული მოწმენი ქვიშხეთში ცხოვრებულან და არც ქაიხოსრო ყიფიანის ნაწერი არის ეს ქაღალდი, მაგრამ უსამაგიეროდ ჩამორთმევა არ ვინდომე და სხუა ორის დღის მიწა მივეცი თომასა და იმის ძმისწულს-ტიმოთე კიკაძეებს, ჭინჭარაულის ბოლოზედ, ჩემსა და კნეინა თამარ ერისთავის მიწებს შუა. რაზედაც ქაღალდი მივეცი ჩემის ხელით ნაწერი და ჩემის ღერბის ბეჭედით დაბეჭდილი 1866 წელს, აგვისტოს 8 დღესა. დიმიტრი ყიფიანი.“

დიმიტრი ყიფიანის ეს მინაწერი ჩვენი მხრიდან კომენტარს არ საჭიროებს.

თამაზ ლაცაბიძე

იშვიათი ფაქტი - ტაძრის აღმშენებელი ქალბატონი

ღვთის სიყვარული, მიზანსწრაფულობა, მედგრობა, ვაჟკაცობა, ეს ის თვისებებია, რომლებმაც ჩვენს დღევანდელ რესპოდენტში ერთიანად მოიყარა თავი. ქალბატონი ნელი ჭიღლაშვილი გახლავთ პიროვნება – მადლმოსილი, რომელმაც დაუღალავი შრომით, მონდომებით, მოთმინებით აღადგინა და რესტავრაცია გაუკეთა პატარა ფლევში ღვისმშობლის მიძინების ეკლესიას, რომელიც იმ დრომდე მხოლოდ ნანგრევებიდა იყო შემორჩენილი. ქალბატონი ნელის თქმით, ღმერთის ნებით და წყალობით, მოხდა, რომ ის ამ დიდებულ საქმეს შეეჭიდა და მისი სრულყოფა შეაძლებინა. დღესდღეობით, ტაძარში ლოცვა აქტიურად აღევლინება, მართმადიდებელთათვის წმინდა ნავსაყუდელში კი უდიდესი მადლი ტრიალებს, მისი დამსახურებით. განვლილ ნაჯაფარ და ურთულეს გზაზე ქალბატონმა ნელიმ საინტერესოდ გვიამბო, რომელსაც ინტერვიუდან შეიტყობთ.

_ ქალბატონო ნელი, როგორ გაგიჩნდათ სურვილი, წამოგეწყოთ ღვთის საქმე, რასაც ეკლესიის მშენებლობა ჰქვია?

– ჩემი მშობლიური სოფელი პატარა ფლევია, სადაც VIII-IX საუკუნეების ტაძრის ნიშა იყო, მხოლოდ ნანგრევები - ძველი ნაეკლესიარი. აღდგომა დღეს ავედი, სანთლების დანთება მინდოდა, თუმცა ვერ შევძელი, რის შემდეგაც ძლიერი სურვილი გამიჩნდა ტაძარი აღმედგინა, მისთვის ძველებური იერი დამებრუნებინა. ვფიქრობ, ეს შთაგონება ღმერთისგან იყო. ჩავედი სოფელში, მეზობლებს ჩემი იდეის შესახებ ვუამბე და მხარდაჭერა ვთხოვე ეკლესიის აღდგენა–რესტავრაციაში, შევთავაზე გარკვეული სამშენებლო მასალებით დახმარებაც, მსურდა, მხარში ამომდგომოდნენ ამ წმინდა საქმეში, თუმცა, თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდნენ ამ იდეას, შეიძლება ითქვას, იუარეს კიდეც. ამას შემდეგ, საოცარი სტიმული მომეცა,გადავწყვიტე მთლიანად ჩემი ძალებით შევდგომოდი საქმეს.

_ ფინასური სახსრები მთლიანად თქვენ გაიღეთ?

– დიახ, ასეა. თავდაპირველად, ტკოცში მამა იოანეს გავანდე ჩემი ჩანაფიქრი, მკითხა, ფულადი სახსრები თუ გაქვს ტაძრის ასაშენებლადო და მეც ვუთხარი რომ 5000 ლარი მქონდა, სინამდვილეში კი 500 ლარი გამაჩნდა მხოლოდ. ალბათ, ღერთის იმედი მქონდა და მართლაც ასე მოხდა, ღმერთმა წყალობის თვალით გადმომხედა ზეციდან და ხელი სასწაულად მომემართა ჩემს ბიზნესში. პარალელურად, სამკერვალოს და პატარა სასადილოს ვამუშავებ. კლიენტიც საკმაოდ მომიმრავლდა და ნელ-ნელა ფულიც მიჩნდებოდა ტაძრის მშენებლობის გასაგრძელებლად.

_ რა თქმა უნდა, წინააღმდეგობები შეგხვდებოდათ ასეთი ღირსეული საქმის წამოწყების პარალელურად..

– ნამდვილად. იყო ძალიან ბევრი ნევიულობა, გაჭირვება, წინაღობებიც, ცრემლიც, თუმცა ღმერთის ხელს სულ ვგრძნობდი მთელი 2 წლის განმავლობაში, რაც ეკლესიის მშენებლობას დასჭირდა. იყო ბევრი შემთხვევა ადამიანების მხრიდან დახმარების გაწევისა, რომლებიც თითქოს ღმერთმა გამომიგზავნაო. ძვრფასი ქვა მჭირდებოდა ეკლესიისთვის, ერთ-ეთმა პიროვნებამ კი მიმასწავლა ადამიანთან, რომელიც სწორედ ასეთ ქვას ყიდდა და საკმაოდ იაფად, 8 სატვირთო გაივსო და ტაძარში მივიტანეთ. თუმცა, ამ ტონიან ქვებს ამწეთი თუ გადაადგილებდით, ეს ყველაფერიც თავად უზრუნველვყავი. ამასთან, სასწაული ძალაც მომეცა. ჩემი ხელით ვზიდავდი უზარმაზარ ქვებს. ერთხელ მამაოს მითითებით, საკმაოდ დიდი ქვა იყო გამოსატანი ეკლესიიდან, კაცის ძალამ რომ ვერ აწია, თავად ავწიე და გამოვიტანე, შემდგომში კი ტაძრის გალავანთან ჩავატანე. რაღა თქმა უნდა, საჭირო იყო ტაძრის გადახურვა, რისთვისაც 4000 ლარი იყო საჭირო, ხელში კი მხოლოდ 2000 ლარი მეჭირა, არ დავნებდი, დიდის წვალებით დარჩენილი თანხაც შევაგროვე. გამიმართლა, რომ იმ პერიოდში, ხაშურში, რაღაც შენობა ჩამოინგრა, საიდანაც 750 ცალი აგური ჩემი ხელით მოვზიდე და სახლში დავაწყვე, რომელიც შემდგომში მთლიანად ტაძრის სახურავის აშენებისათვის გამოვიყენე. საბოლოოდ, ჩემი ხელით „გავშპაკლე” და გავათეთრე ტაძარი, ეზოც მთლიანად სიპი ქვებით მოვაპირკეთე. აღვნიშნავ, რომ უდიდესი ძალისხმევა ჩავდე ამ ეკლესიის აღდგენის საქმეში, დღეს კი ბედნიერი ვარ რომ იქ წირვა-ლოცვა აღევლინება.

_ ქალბატონო ნელი, საბოლოო ჯამში რამდენი დაჯდა ტაძრის აღდგენა?

– მთლიანობაში 25 ათასი ლარი, მხოლოდ საკუთარი ფინანსური და ფიზიკური ძალებით. აქვე, გავიხსენებ ერთ შემთხვევასაც, ერთი პერიოდი მშენებლობა შეჩერდა, ავად გავხდი და ლოგინად ჩავარდი, ერთი კვირა ფეხზე ვერ ვდგებოდი, მერვე დღეს კი სიზმარი ვნახე, ქალი დამესიზმრა, რომელმაც მითხრა, ჩემთვის აღარ გცალიაო?! მე კი ვუპასუხე: „არა, არა მოვტრიალდები და მოვალ”-მეთქი, მართლაც, მეორე დღეს ავდექი, თითქოს, ავად არც კი ვყოფილიყავი, ტაძრისკენ გავეშურე და ორმაგი ძალებით გავაგრძელე დაწყებული საქმე. ეს შემთხვევა სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ღმერთის მინიშნება და მისი წყალობა. უდიდესი დახმარება გამიწია ერთმა პიროვნებამ, რომლის სიკეთესაც არ დავივიწყებ მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს იყო „ნატახტარის” გენერალური დირექტორი ტატო გაგნიძე, როდესაც შეიტყო რომ ქალი ეკლესიას აშენებდა, 600 ლარი უანგაროდ გადმომცა, იმ დროს ის 600 ლარი ჩემთვის 6000 ლარს უდრიდა, ეს პიროვნება კი ერთადერთი აღმოჩნდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა გამიწია, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ მისი.

_ რასაკვირველია, ეკლესიის მშენებლობის დაწყებისათვის მეუფისგან კურთხევა მიიღეთ..

– დიახ, როდესაც მშენებლობა დავიწყე, იმ დროისათვის ეპარქიის ეპისკოპასი მეუფე იობი გახლდათ, კურთხევაც სწორედ მისგან მივიღე. აქვე გეტყვით: მასთან ვაღიარე მხოლოდ, რომ მშენებლობის დაწყების მომენტში 5000, ლარი კი არა მხოლოდ 500 ლარი მქონდა, რომელმაც, რა თქმა უნდა მომიტევა ეს, შეიძლება იქთვას, პატარა ტყუილი. დასაწყისშივე, ჩემი უპირველესი სურვილი იყო, რომ ამ ტაძრიდან გალობისა და ლოცვის ხმა გამოსულიყო, როგორც ხედავთ, დასახულ მიზანს მივაღწიე, რითაც ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ.

თ. ახალკაცი

,,არტ-გენი'' გიხმობთ, ,,არტ-გენი'' გიწვევთ! 10 ივლისს, სურამის ფიჭვნარში, ულამაზესი სანახაობა გელით

10 ივლისს, სურამში, ბაიანთხევის ტყე-პარკში, უკვე ტრადიციულად ქცეული ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი" გაიმართება. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივითა და თანამონაწილეობით უკვე მესამე წელია ხაშური „არტ-გენს" მასპინძლობს და როგორც აქაურებს, ისე საკურორტო სეზონთან დაკავშირებით ჩამოსულ ტურისტებს ერთი დღით შეუძლიათ ეზიარონ ქართულ ხალხურ ხელოვნებას.

ფესტივალი 15 საათზე დაიწყება და მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება. მაყურებლისა და დამთვალიერებლის წინაშე მოეწყობა ხალხური რეწვის ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთების, ცნობილ და ნორჩ მხატვართა გამოფენები. გაიმართება სპორტული აქტივობები, ფოლკლორული კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით, აგრეთვე, ჯგუფი „შავფაროსნები" თეატრალურად წარმოადგენს ქართულ საბრძოლო ხელოვნებას.

დღის ბოლოს, გაიმართება დასკვნითი კონცერტი ჯგუფების „რეგიონი" და „Asea sool" მონაწილეობით..

"შემოდგომის რაფსოდია" - ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნი

22 ივნისს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, მწერლისა და ჟურნალისტის, ქალბატონი მაყვალა ხაჩიძის კრებულის "შემოდგომის რაფსოდია"-ს წარდგინებას უმასპინძლა. საღამოს წამყვანმა, მურად მთვარელიძემ, მოკლე რეზიუმე გააკეთა კრებულის გარშემო, მაყვალა ხაჩიძის, როგორც მეგობრის და როგორც კოლეგის პიროვნულ თუ პროფესიულ ღირსებებზე. მისი შეფასებით, "შემოდგომის რაფსოდიები" წარმოადგენს ერთგვარ აფორისტულ კრებულს, რომელშიც თავმოყრილია ცხოვრებისეული გამოცდილებების ნააზრევი, დაბრძმედილი და უკვე მომავლისთვის განკუთვნილი. ხაშურის ლიტერატურული საზოგადოება, ქალბატონი მაყვალას მეგობრები, დიდი სიყვარულით საუბრობდნენ მასთან ურთიერთობის ბედნიერებაზე, რომელიც წილად ხვდათ, მის დაუშრეტელ სიკეთეზე, პოზიტივზე, შეხვედრისთანავე თავს რომ უკეთ გაგრძნობინებს.

კრებულის შესავალი სიტყვა ვაჟა შუბითიძეს (წიგნის რედაქტორი) ეკუთვნის, რომელიც ერთგვარი გზამკვლევია და გარკვეულ წარმოდგენას თავიდანვე ქმნის, თუ რა სიამოვნება ელის მკითხველს წინ. ეკა ბაქრაძემ, კლარა გელაშვილმა, გივი გელაშვილმა, შოთა დარბუაშვილმა წაიკითხეს მისი ლექსები, აფორიზმები და მადლობა გადაუხადეს მეგობარსა და კოლეგას საჩუქრისთვის, რომელიც გაფიქრებს ცხოვრების პერიპეტიებზე, გრძნობებზე, ყოფით სიამოვნებებსა და სირთულეებზე.

პატარა „ლეგიონერები" სასწაულებს ახდენენ

საქართველოს რაგბის ოჯახში ხაშურის სარაგბო გუნდი „ლეგიონი" კარგადაა ცნობილი და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ეს გუნდი ყველასათვის ანგარიშგასაწევი გახდა. ამ გუნდის ხვალინდელი დღე კი - 2007-2008 წლებში დაბადებული პატარა მორაგბეები, პირდაპირ სასწაულებს ჩადიან და იმხელა უპირატესობით იმარჯვებენ თანატოლებზე, რომ მოწინააღმდეგეს იოტისოდენა შანსსაც არ უტოვებენ. მკითხველს ახსოვს ალბათ, ჩვენ მათზე ადრეც დავწერეთ, როდესაც „ასტრონომიული" ანგარიშებით ამარცხეს მეტოქეები. და აი, მორიგი „შედეგრი": მოგეხსენებათ, ამ ასაკის ბავშვებისათვის რაგბში ფესტივალები იმართება. ამ რამდენიმე ხნის წინ სწორედ ასეთ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა პატარა "ლეგიონერებმა"" და რამაზ ნოზაძისა და არსენ გიორგაძის დამოძღვრილმა ბავშვებმა თბილისური გუნდები პირდაპირ ბეჭებზე გააკრეს. ჯერ „ლელო-1"-ს დაუმალეს ოვალური ბურთი - 25:0, მერე „ლელო-2" მიაყოლეს - 15:0. შემდეგ იყო „დინოზავრები" 25:0 და ბოლოს - „მერანის" აკადემია - 20:5. წარმოგიდგენიათ, ოთხ თამაშში 95 ქულა „მიართვეს" მეტოქეებს, თვითონ კი მხოლოდ 5 მიიღეს.

ფაქტია, „ლეგიონს" ბრწყინვალე მომავალი ეზრდება და ღრმად გვწამს, ამ ბავშვებისთვის, გარკვეული წლების შემდეგ, თუ მათ ასეთივე წარმატებით გააგრძელეს ასპარეზობა, საქართველოს ნაკრებშიც გამოჩნდება ადგილები.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.